ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2933218

ნომერი: AR1453919

თარიღი : 03.11.2016

გაცემის თარიღი : 07.11.2016

გაცნობის თარიღი : 07.11.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , ქუჩა ი.პეტრიწი , N16, N16ა კორპუსების მიმდებარედ/ ქალაქი თბილისი , ქუჩა ი პეტრიწი , N16 და N16ა-ს შორის ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გიორგი მარკოიშვილი პ/ნ 01025010612
- ქ. N 31 ბ. 55

ორგანიზაცია:
- შპს ,,ჯეუ დეველოპმენტი" კოდი: 402007387

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლის განხილვის შედეგად გაცნობებთ, რომ ვინაიდან საპროექტო ობიექტი მდებარეობს ქალაქგეგმარებით კარკასზე, განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონაში, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა-ნაგებობებს და მათზე განთავსებულ კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს, რომლის ფარგლებშიც განთავსებული ნებისმიერი ობიექტის არქიტექტურული გადაწყვეტა, ესთეტიკური თვალსაზრისით უნდა ხასიათდებოდეს მაღალი მხატვრული მონაცემებით და თქვენს მიერ წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით ირკვევა, რომ ფასადზე ფანჯრის ღიობების მოჩარჩოვება განხორციელებულია თეთრი ფერის მეტალო პლასმასის მასალით (დანაწევრებული სახით) ,რისი გამოყენებაც საპროექტო ადგილმდებარეობიდან გამომდინარე ამ ადგილისათვის სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია და აუცილებლად მიიჩნევს, რომ როგორც კარის ღიობების, ასევე საპროექტო კიბის მასალად გამოყენებული უნდა იქნას კარგი ხარისხის მასალა (შესაძლებელია კარის მასალად გამოყენებული იქნას ალუმინის მოჩარჩოვება ან შესაძლებელია დამკვეთის მიერ შემოთავაზებული იქნას სხვა ალტერნატიული მასალა),

თქვენს მიერ ატვირთული დოკუმენტაციის მიხედვით ზუსტად ვერ დგინდება თუ რა სახის სამუშაოების განხორციელებას გეგმავთ. გამომდინარე აქედან საჭიროა ".არსებული სიტუაციის ფოტოსურათები"-ს და "ფოტომონტაჟი"-ს ველში აიტვირთოს როგორც შორი ასევე ახლო მანძილიდან გადაღებული არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა და მის საფუძველზე დამუშავებული ფოტომონტაჟი (გაბარიტული ზომების მითითებით), რომელზეც გარკვევით იქნება ასახული საპროექტო დავალებით გათვალისწინებული სამუშაოები, ხოლო იმ შემთხვევაში თუ ვერ ხერხდება ახლო მანძილიდან ფოტოსურათების გადაღება, შესაძლებელია შემუშავდეს საპროექტო ობიექტის აზომვითი და საპროექტო ესკიზური ნახაზები (გაბარიტული ზომების მითითებით). ასევე საჭიროა მოთხოვნის ტექსტში უფრო დაზუსტებით დაფიქსირდეს ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.